

სდასუ
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი



ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური (შემდგომში - „სამსახური“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ და რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის საქმიანობის სფერო, მიზანი და ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი საქმიანობის სფეროა:
 - ა) უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის დაგეგმარება, გამართვა და ოპტიმალური ფუნქციონირება;
 - ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება;
 - გ) კომპიუტერული რესურს-ცენტრების მოწყობა და ფუნქციონირება.
2. სამსახურის ძირითადი მიზანია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე უნივერსიტეტის სტუდენტებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შეუქმნას სწავლის, საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესაბამისი პირობები.
3. სამსახურის ფუნქციაა:
 - ა) ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა და დანერგვა;
 - ბ) ახალი სისტემური პროგრამული საშუალებებისა და მათი თანმხლები პროგრამული უზრუნველყოფის ათვისება და დანერგვა;
 - გ) სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, დანერგვა და ადმინისტრირება;
 - დ) ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების შექმნა და დაცვა, ინტერნეტ-სერვისებით (ვებ-სერვისი, ელექტრონული ფოსტა) მომსახურება, ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება (გაფართოება და მომსახურება);
 - ე) უნივერსიტეტის ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დაგეგმვა, გაშლა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს აპარატულ უზრუნველყოფას (სერვერული, ქსელური და ხმის/ვიდეოს გადაცემის აპარატურა), პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამის სერვისებს.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

3.1 უნივერსიტეტის სამტატო განრიგით ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი და მთავარი სპეციალისტი.

3.2 უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს და მთავარ სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.3 სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

3.4 სამსახურის უფროსი:

- ა) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტებს;
- ბ) პასუხისმგებელია განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელებაზე;
- გ) წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
- დ) ანაწილებს მოვალეობებს, იძლევა მითითებებსა და დავალებებს;
- ე) ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

3.5 მთავარი სპეციალისტი:

- ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს სამსახურის უფროსის მიერ მიღებული დავალებებსა და მითითებებს.
- ბ) სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მთავარმა სპეციალისტმა დროებით შეასრულოს სამსახურის უფროსზე დაკისრებული მოვალეობები.

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების გზით.